



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2018 წლის 2 მარტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016392) შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ პუნქტი:

„ ე) დამტკიცდეს სააღსრულებო ფურცლის ფორმა (დანართი №5)“.



მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია

საქმე №

ს ა ა დ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

(საადსრულებო ფურცლის გამცემი)

საქმე, რომლის გამოც გაცემულია საადსრულებო ფურცელი

დადგენილების გამოტანის თარიღი

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

საადსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი:

სამსახურის უფროსი -----